DOI: https://doi.org/10.52340/PUTK.2025.29.21

თანამედროვე კვლევები საქართველოს ისტორიის შესახებ თურქეთში

CONTEMPORARY STUDİES ON GEORGİAN HİSTORY İN TURKEY

როინ ყავრელიშვილი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ყარსის კავკასიის უნივერსიტეტი
ახალციხე, საქართველო

Roin Kavrelishvili
Samtskhe-Javakheti State University
Caucasus University of Kars
Akhaltsikhe, Georgia

აბსტრაქტი

თურქეთში საქართველოს ისტორიის შესახებ პირველი სამეცნიერო კვლევები მე-20 საუკუნის შუა ხანებიდან დაიწყო. თავდაპირველი შრომები ძირითადად საქართველო-ოსმალეთს შორის ურთიერთობების, ქართველი ხალხის ისტორიისა და კულტურის საკითხების შესახებ აღწერითი ხასიათის ინფორმაციას შეიცავდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და საქართველო-თურქეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შემდეგ, თურქეთში საქართველოს ისტორიის საკითხებისადმი ინტერესი გაიზარდა. შედეგად საქართველოს ისტორიის კვლევების მიმართულებით სამეცნიერო შრომების ინტენსიური მატება გამოიკვეთა. დაიბეჭდა მონოგრაფიები, მეცნიერული და პუბლიცისტური სტატიები. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თურქი ისტორიკოსების ნაშრომებში მრავლად არის გამოყენებული საქართველოს შუა, ახალ და უახლეს ისტორიასთან დაკავშირებული აქამდე უცნობი საარქივო დოკუმენტები, რაც საქართველო-თურქეთის ურთიერთობებისა და საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის ბაზის გამდიდრებას ხელს უწყობს. მართალია, ზოგიერთი ავტორის გარკვეული მოსაზრებები არ ემთხვევა ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ ტრადიციებს, მაგრამ ეს არ უშლის ხელს ჯანსაღ პოლემიკას და ქართველ და თურქ ისტორიკოსთა თანამშრომლობას.

სტატიაში მოკლედ არის მიმოხილული მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან 2025 წლამდე გამოქვეყნებული თურქი ავტორების ნაშრომების ჩვენთვის ხელმისაწვდომი ნაწილი. ასევე, ქართველი ავტორების მიერ თურქულ და ქართულ ენებზე გამოცემული წიგნები და მონოგრაფიები.

საკვანძო სიტყვები: საქართველოს ისტორია, საქართველო-თურქეთის ურთიერთობები, თურქი ავტორები საქართველოს შესახებ, თურქული საარქივო დოკუმენტები.

ABSTRACT

The first scholarly studies on the history of Georgia in Turkey began in the mid-20th century. The early works mainly offered descriptive information about the interactions between Georgia and the Ottoman Empire, as well as the history and culture of the Georgian people.

Following the restoration of Georgia's independence and the establishment of diplomatic relations with Turkey, there was a growing interest in Georgian history in Turkey. This led to a significant increase in scholarly work on the history of Georgia. Numerous monographs and both scientific and journalistic articles were published. It is important to note that the works of Turkish historians frequently employ previously unknown archival documents pertaining to Georgia's medieval, modern, and contemporary history, thereby enriching the sources available for understanding Georgian-Turkish relations and Georgian history. Although some authors' opinions may not align with the established traditions of Georgian historiography, this does not hinder constructive debates and collaboration between Georgian and Turkish historians.

In the relatively few works published in Turkish by Georgian authors in Turkey, aside from topics concerning the history of Georgia, there is a focus on specific issues related to Georgian-Turkish relations, such as the interactions of Georgians with the Huns, Khazars, and Kipchaks, as well as the Georgian-Turkish relations during the period of the Democratic Republic of Georgia and matters related to Turkey that were covered in the Georgian press.

This article briefly reviews the available works of Turkish authors published from the 1950s to 2025, alongside the books and monographs published by Georgian authors in Turkish and Georgian languages.

Keywords: History of Georgia, Georgian-Turkish relations, Turkish authors about Georgia, Turkish archival documents.

შესავალი

ქართულ-თურქულ ურთიერთობებს დიდი ხნის ისტორია აქვს, რომელიც ხხვადასხვა დროს განსხვავებულ ხასიათს ატარებდა. ამ ურთიერთობებს აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს, მისი განვითარება მნიშვნელოვანია და ეს გზა ორი ახლო მეზობლის მხრიდან ერთმანეთის უკეთ გაცნობაზე გადის.

თურქეთში საქართველოს ისტორიის შესახებ პირველი სამეცნიერო კვლევები მე-20 საუკუნეში დაიწყო. გამოქვეყნდა წიგნები, სტატიები. მას შემდეგ, რაც საქართველომ ხელახლა აღიდგინა დამოუკიდებლობა,

თურქ მეცნიერთა ინტერესი საქართველოსადმი კიდევ უფრო გაიზარდა. შესაბამისად, თანამედროვე თურქული ისტორიოგრაფიის უკეთ გაცნობის აუცილებლობა გამოიკვეთა. ხშირად ერთი და იმავე ეპოქის, ფაქტის, წყაროსა და მოვლენის მიმოხილვისა და კრიტიკული ანალიზისას, ქართველ ისტორიკოსებთან შედარებით, თურქ ისტორიკოსებს განსხვავებული მიდგომები და ინტერპრეტაციები აქვთ. ზოგიერთ ნაშრომში შეიმჩნევა ტენდენცია მესხეთის, ასევე, სხვა ქართული პროვინციების ოდითგანვე თურქული მოდგმის ტომებით დასახლებულ და აქ მოსახლე ქართული ტომების პროთურქული წარმომავლობის მტკიცებასთან დაკავშირებით. ზოგადად, ამ ტიპის დამოკიდებულება განსაკუთრებით მაშინ იჩენს თავს, როდესაც მეზობლები წერენ ისტორიას.

ცალკე გამოსაყოფია საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ ქართული წარმოშობის თურქეთის მოქალაქეთა ნაშრომები. აქ უნდა ითქვას, რომ მათ შორის ჯერ კიდევ გასული საუკუნის მეორე ნახევარში გამოცემული ნაშრომები პოპულარული და ნაწილობრივ კომპილაციური ხასიათისაა და სამეცნიერო ნაშრომის პრეტენზია ნაკლებად აქვთ. თანამედროვე ავტორების ნაშრომები უფრო ვრცელია. მათში ძირითადად აღწერილია საქართველოს ისტორიის ყველა მონაკვეთი, გამოყენებულია ქართულ- და თურქულენოვანი ლიტერატურა. ზოგიერთი ნაშრომი უშუალოდ წყაროთმცოდნეობითი ხასიათისაა, ჩვენთვის უცნობ ოსმალურ წერილობით თუ ნარატიულ წყაროს შეიცავს.

ქართველი ავტორების თურქეთში თურქულ ენაზე გამოქვეყნებულ არცთუ ისე მრავალრიცხოვან ნაშრომებში, საქართველოს ისტორიის საკითხებს გარდა, აქცენტი გაკეთებულია ქართულ-თურქულ ურთიერთობებთან დაკავშირებულ კონკრეტულ საკითხებზე, ისეთებზე, როგორიცაა: ქართველთა ურთიერთობები ჰუნებთან, ხაზარებთან, ყივჩაღებთან, ასევე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდის ქართულ-თურქულ ურთიერთობებსა და ქართულ პრესაში გაშუქებულ თურქეთთან დაკავშირებულ საკითხებზე.

აღსანიშნავია ქართველი და თურქი ისტორიკოსების თანამშრომლობის შედეგად გამოცემული ექვსი ქართულ-თურქულენოვანი და ერთი სქელტანიანი, თურქულ ენაზე გამოცემული შრომების კრებულები. ქართულად და თურქულად ამ ტიპის მეცნიერული კრებულები პირველად იქნა გამოქვეყნებული. ამიტომ, ბუნებრივია, მათში არის აზრთა სხვადასხვაობა. მსგავს შემთხვევებში განსაკუთრებით სიფრთხილეა საჭირო, რადგან საქმე სხვადასხვა ხალხის ისტორიას ეხება. დიდი ალბათობაა იმისა, რომ ბევრი რამ მხარეებისათვის მიუღებელი იყოს. ავტორთა სტატიები კომენტარების გარეშე გამოქვეყნდა იმ მიზნით, რომ ასეთი სახით გამოცემა კვლევის ახალ სტიმულს მისცემს საკითხით დაინტერესებულ მეცნიერებს და არა მხოლოდ ისტორიკოსებს. კრებულების ორენოვნებამ სამეცნიერო წრეებისთვის მათზე წვდომა უფრო გაამარტივა.

ყურადსაღებია ისიც, რომ თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში ინტენსიურად მომდინარეობს 1944 წელს სამცხე-ჯავახეთიდან დეპორტირებული მოსახლეობის ისტორიის, ეთნიკური წარმომავლობის, დეპორტაციის, რეპატრიაციისა და მათი განსახლების ისტორიის კვლევა, რასთან დაკავშირებითაც მრავალი სამეცნიერო პუბლიკაცია თუ წიგნი გამოქვეყნდა.

კვლევის მეთოდები

წინამდებარე სტატიაში შერჩევის, შედარების, აღწერითი და კრიტიკული ანალიზის მეთოდების გამოყენებით წარმოდგენილია თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს ისტორიასა და ქართულ-თურქულ ურთიერთობებთან დაკავშირებული როგორც თურქეთის, ასევე, საქართველოს მოქალაქეთა მიერ თურქულ ენაზე გამოცემული სამეცნიერო წიგნები, მონოგრაფიები. მათში წარმოდგენილი ინფორმაცია მნიშვნელოვანია საქართველოს ისტორიისა და ქართულ-თურქული ისტორიული ურთიერთობების სრულყოფილი და ობიექტური შესწავლისათვის.

მსჯელობა

საქართველოს ისტორიის საკითხების მონოგრაფიული კვლევა ისტორიკოს **მეჰმეთ ფაჰრეთთინ კირზიოღლუს** სახელთან არის დაკავშირებული. მან საქართველოს თემაზე სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება 1975 წლიდან დაიწყო. თუმცა ჯერ კიდევ 1953 წელს მის მიერვე გამოცემულ წიგნში – „ყარსის ისტორია“ იგი ეხება ოღუზთა და ქართველთა ურთიერთობების, ლალა მუსტაფა ფაშას ამიერკავკასიაში ლაშქრობის და, მისივე თვალთახედვით, საქართველოში ყივჩაღთა ჩამოსახლების საკითხებს. მას მეტად საყურადღებო დოკუმენტური მასალა აქვს გამოქვეყნებული არაღიარებული „სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის დემოკრატიული მთავრობის“ შექმნისა და საქართველოს დემოკრატიულ მთავრობასთან მისი ურთიერთობის შესახებ (Kırzıoğlu 1953; Kırzıoğlu 1960; Kırzıoğlu 1976; Kırzıoğlu 1992).[1]

მიუხედავად იმისა, რომ მისმა ნაშრომებმა კრიტიკა დაიმსახურა, რადგან მათში იგრძნობოდა იმ პერიოდის პოლიტიკური ატმოსფეროს გავლენა, ისინიც კი, ვინც მას აკრიტიკებდა ან აკრიტიკებს, მეტწილად იმეორებენ იმას, რასაც ქირზიოღლუ წერდა და იმოწმებენ მის მიერ გამოყენებულ წყაროებს (Tellioğlu 2016: 78).

საკუთარ ნაშრომებში, მეტწილად, ფაჰრეთთინ კირზიოღლუს მოსაზრებებს იზიარებს **იუნუს ზეირექი.** მისი სამეცნიერო კვლევის არეალი ძირითადად შემოიფარგლება ისტორიული მესხეთით და 1944 წელს სამცხე-ჯავახეთიდან დეპორტირებული მოსახლეობის ისტორიის, ყოფისა და კულტურის შესწავლით. ერთ-ერთ წიგნში – „საქართველო, აჭარა და თურქეთი“ იგი მიმოიხილავს აჭარელთა და აჭარის ისტორიას. უნდა ითქვას, რომ აჭარელთა და აჭარის საკითხი, ასევე, დიდი ინტერესის საგანია თანამედროვე თურქეთში. ფართოდ გავრცელებული აზრის

[1] მეჰმეთ ფაჰრეთთინ კირზიოღლუს ნაშრომთა ანალიზისთვის იხ.: **ნოდარ შენგელია,** ფაჰრედდინ კირზიოღლუს მონოგრაფიები, ქართული დიპლომატია (წელიწდეული), ,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2001, გვ. 243-264; **როინ ყავრელიშვილი,** სამცხე-საათაბაგო (ახალციხის საფაშო) თანამედროვე თურქულ საისტორიო ლიტერატურაში, წიგნში: მერაბ ბერიძე, ინგა ღუტიძე, როინ ყავრელიშვილი, ხათუნა გაფრინდაშვილი, მაია ბალასანიანი, მაკა ბერიძე, კუკური მეტრეველი, ნინო ხაზალაშვილი, ჯავახეთის ონომასტიკური მასალის კვლევა და დოკუმენტირება (ნინოწმინდის რაიონი), გამომცემლობა „ნათლისმცემელი“, თბილისი 2023, გვ. 85-128; **ლევან ურუშაძე,** საქართველოს ისტორიის საკითხები XX საუკუნის თურქულ ისტორიოგრაფიაში (წყაროთმცოდნეობითი ასპექტები), გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1994. გვ. 8-9.

მიხედვით, საქართველოდან თურქეთში წასულ აჭარლებს გამუსლიმებულ ქართველებად თვლიან. თუმცა თურქულ სამეცნიერო საზოგადოების ერთი ნაწილი თვლის, რომ აჭარლები საქართველოს საზღვრებში დარჩენილი თურქები არიან (Zeyrek 1995; Zeyrek 1999; Zeyrek 2001 ა : Zeyrek Y., Ahıska Bölgesi ve Ahıska Türkleri, Ankara 2001. Zeyrek 2001 ბ: Zeyrek Y.,, Acaristan ve Acarlar, Ankara 2001; Zeyrek 2006; Zeyrek 2015).

საქართველოს შესახებ თურქი მკითხველის ინფორმირების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის **დ. მ. ლანგის** წიგნს. იგი თურქულ ენაზე 1997 წელს ითარგმნა. ეს ნაშრომი თურქეთში ბევრ ნაკლებად ცნობილ საკითხს ეხება, როგორიცაა: ქართველთა ისტორია ანტიკურ და შუა საუკუნეებში, ინფორმაცია ქართული კულტურის წარმოშობისა და კავკასიური ცივილიზაციის ისტორიაში მისი ადგილის დავროლის შესახებ და სხვა (Lang 1997). მკვლევართათვის საინტერესოა **ესინ დერინსუ დაის** ნაშრომი „ეროვნული ორგანიზაციები ყარსში, ბათუმსა და არტაანში". იგი 1997 წელს გამოქვეყნდა. ნაშრომი ეხება 1918-1921 წლებში სამხრეთ-დასავლეთ კავკასიაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს (Dayı 1997).[2] 2020 წელს გამოიცა **ალი იფექის** წიგნი „საქართველო ადრეულ ისლამურ პერიოდში". ავტორი ეხება არაბთა შემოსევებს საქართველოში და ისლამის გავრცელების საკითხებს (İpek 2020). საქართველოში ისლამის საკითხებთან დაკავშირებით, ასევე, საინტერესოა **მეჰმეთ ჩოღის** მონოგრაფია – „ისლამი მე–19 საუკუნის სამხრეთ კავკასიაში" (Çoğ 2009). 2001 წელს გამოქვეყნდა **სერფილ სურმელის** მონოგრაფია „1918-1921 წლებში ქართულ-თურქული ურთიერთობები". ნაშრომი მნიშვნელოვანია რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ სამხრეთ კავკასიაში მომხდარი პოლიტიკური მოვლენების, ამავე რეგიონში ახლად ჩამოყალიბებული დემოკრატიული რესპუბლიკებისა და ზემოაღნიშნული პერიოდის ქართულ-თურქული ურთიერთობების შესასწავლად. წიგნი მდიდარია საარქივო წყაროების თვალსაზრისით (Sürmeli 2001).[3] ტრაპიზონისა და ბათუმის კონფერენციებზე მიმდინარე მოვლენების კვლევისთვის მნისვნელოვანია **ენის შაჰინის** მონოგრაფია „ტრაპიზონისა და ბათუმის კონფერენციებისა და ხელშეკრულებები (1917–1918) წლებში". მასში განხილულია თურქეთ-საქართველოს ურთიერთობები პირველ მსოფლიო ომში, რუსეთის რევოლუციის ზეგავლენა ამიერკავკასიაზე, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე და პოლიტიკურ ვითარება საქართველოში მუდროსის ზავის შემდეგ (Şahin 2002).[4] 2014 წელს გამოიცა **მუსტაფა სარის** მონოგრაფია „ბათუმის საკითხი თურქეთ-კავკასიის ურთიერთობებში (1917-1921 წწ)". ავტორის მიერ მიზნად დასახული

[2] იხ. რეცენზია. **რ. ყავრელიშვილი,** ესინ (დერინსუ) დაის ნაშრომი „ეროვნული ორგანიზაციები ელვიე – ი სელასეში (ყარსი, არდაგანი, ბათუმი), გულანი, 1, ახალციხის ინსტიტუტი, გამომცემლობა „ნეკერი", ახალციხე, 2009, გვ. 129-135.

[3] იხ. რეცენზია, **რ. ყავრელიშვილი,** სერფილ სურმელის მონოგრაფია – თურქეთ–საქართველოს ურთიერთობები 1918-1921 წწ., აკადემიკოს ევგენი ხარაძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ახალციხის ინსტიტუტის გამომცემლობა, ახალციხე, 2007, გვ. 89-90.

[4] იხ. რეცენზია, **რ. ყავრელიშვილი,** თურქი ისტორიკოსის ენის შაჰინის მონოგრაფია „ტრაპიზონისა და ბათუმის კონფერენციები და ხელშეკრულებები (1917-1918)". ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, სამეცნიერო კონფერენციის პროგრამა და მასალები, ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ახალციხე, 2010, გვ. 49-50.

საკითხების ძირითადი ნაწილის კვლევა ეფუძნება თურქეთის გენერალური შტაბის სამხედრო ისტორიის კვლევის არქივში დაცულ დოკუმენტებს, სადაც კარგად ჩანს ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებებისას, ტრაპიზონის და ბათუმის კონფერენციებში მონაწილე მხარეთა პოზიციები, ბათუმის საკითხისადმი ანკარის მთავრობის მიდგომები როგორც თურქეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის, ასევე, საქართველოს დემოკრატიული მთავრობასთან ურთიერთობის დროს და სხვ. (Sarı 214). ანკარაში გახსნილი საქართველოს წარმომადგენლობისა და იმ პერიოდის ქართულ-თურქული ურთიერთობებზეა საუბარი **დერია ჩინი შიმშექის** წიგნში. ავტორს გამოყენებული აქვს იმდროინდელი თურქული პრესა და საარქივო მასალები; დამოწმებული აქვს როგორც თურქი, ასევე ქართველი ავტორების მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები (Şimşek 2019).[5] 1878–1914 წლებში კავკასიის რეგიონის ისტორიის შესასწავლად მნიშვნელოვანია **რესულ თურანის** წიგნი „მეფის რუსეთის მმართველობის პერიოდში ბათუმი, აჭარა და ართვინი". მისი კვლევა ეფუძნება ოსმალეთის, ბრიტანეთისა და ნაწილობრივ რუსეთის სახელმწიფო ისტორიულ არქივში დაცულ დოკუმენტებს. აღნიშნული წყაროების გამოყენებით მომზადებულ კვლევაში ყურადღება გამახვილებულია მუსლიმი მოსახლეობით დასახლებული რეგიონის სპეციფიკურ ადმინისტრაციულ მექანიზმზე, ქონებრივ და სასაზღვრო პრობლემებზე, რომლებიც წარმოიშვა ოსმალეთისა და რუსეთის ადმინისტრაციული სისტემების შეუთავსებლობით (Turan 2023). 2009 წელს **იბრაჰიმ თელლიოღლუმ** გამოსცა წიგნი „ქართულ-თურქული ურთიერთობები XI-XIII საუკუნეებში". ნაშრომში ავტორს გამოყენებული აქვს ქართული, სომხური, ასურული და არაბული წყაროები, რომელთა ნაწილი თარგმნილია ავტორისთვის ხელმისაწვდომ ენაზე, ხოლო ნაწილი წყაროსავე ენაზეა დამუშავებული (Tellioğlu 2009). დარგის სპეციალისტებისთვის ყურადსაღები ნაშრომი გამოქვეყნდა **ალი სინან ბილგილის** მიერ, რომელიც ეხება ოსმალურ ვაყუფებს ირანში, აზერბაიჯანში, სომხეთსა და საქართველოში (Bilgili 2011). წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით საინტერესოა **მუმინ ილდიზთაშის** წიგნი „საქართველო და ქართველები ოსმალეთის საარქივო დოკუმენტებში". წიგნში წარმოდგენილი დოკუმენტები ოსმალეთის არქივებში საქართველოსა და ქართველების შესახებ დაცული ოცი ათასზე მეტი დოკუმენტიდან შერჩევის მეთოდის მიხედვით, ქრონოლოგიურად და თემატურად არის დაჯგუფებული. კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ე.წ. „მუჰიმე დავთრებში" არსებულ ჩანაწერებს, რომლებიც ოსმალეთის არქივებში არსებულ უძველეს ჩანაწერებს წარმოადგენენ (Yıdıztaş 2012). **ომერ სუბაშის** მონოგრაფიაში „ქართულ-მონღოლური ურთიერთობები (1220-1346)" ყურადღება არის გამახვილებული ქართველებსა და მონღოლებს შორის პოლიტიკურ, სამხედრო და ეკონომიკურ ურთიერთობებზე (Subaşı 2015).

რაც შეეხება თურქეთის მოქალაქე ჩვენს თანამემამულეთა მიერ საქართველოს ისტორიის საკითხებთან დაკავშირებით ინტერესს, მათი მხრიდან, ასევე, არის გამოცემული საყურადღებო წიგნები. ამ მხრივ

[5] იხ. **რ. ყავრელიშვილი,** რეცენზია დერია ჩინი შიმშექის წიგნზე: „საქართველოს წარმომადგენლობა ანკარაში და თურქულ-ქართული ურთიერთობები", პროფესორ იოსებ ალიმბარაშვილის დაბადებიდან 60 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კრებული, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, გორი, 2022, გვ. 289-302.

აღსანიშნავია წიგნი „საქართველო", რომელიც 1968 წელს **აჰმედ ოზქანმა** (მელაშვილი) გამოსცა. იგი წარმოადგენს ინფორმაციის ერთობლიობას და ერთგვარ კვლევით ექსპერიმენტს, რომელშიც, თითქმის სრულად, საქართველოს შესახებ გამოცემულ არაქართულენოვანი სამეცნიერო შრომებია გამოყენებული (Özkan Melaşvili 1968). 1993 წელს გამოვიდა **ფაჰრეთთინ ჩილოღლუს** „ქართველთა ისტორია". იგი მისი გამოცემის პერიოდისთვის საქართველოსა და ქართველი ხალხის ისტორიის შესახებ თურქეთში არსებული ინფორმაციული ვაკუუმის შევსების მცდელობას წარმოადგენს. ავტორი მიმოიხილავს ქართული ენის, ანბანის, რელიგიის, თეატრისა და სხვ. მოკლე ისტორიას, ქართველთა გავრცელების არეალისა და საქართველოს ისტორიის საკითხებს. ყველა თავს ერთვის ქართველი და უცხოელი ავტორების მიერ საქართველოს თემაზე შექმნილი სამეცნიერო ნაშრომები (Çiloğlu 1993). **ნები გუმუშის** სადოქტორო დისერტაციაში „ოსმალეთ-საქართველოს ურთიერთობა მე-16 საუკუნეში" დაწვრილებითაა განხილული საქართველოში ოსმალეთის ოსმალური ადმინისტრაციული მმართველობის დამყარების, მისი მიმდინარეობისა და ქართულ სამეფო-სამთავროებთან ოსმალეთის ხელისუფლების ურთიერთობის საკითხი (Gümüş 2000). ცალკე ყურადსაღებია ნები გუმუშის მიერ გამოცემული ნაშრომი „ადრეული ხანის ისლამურ-ქართულ ურთიერთობები" (Gümüş 2007). ასევე, საინტერესოა ამავე ავტორისა და **ნიკოლე კანჩალ ფერარის** მიერ გამოცემული წიგნი „ახალციხის მხარის თურქულ-მუსლიმური არქიტექტურული რელიკვიები". წიგნში, ცალკეული ქვეთავების სახით, ზოგიერთი ქართული წყაროსა და ისტორიული ლიტერატურის დამოწმებით, სამხრეთ საქართველოს ისტორიის შესახებ თურქი ავტორების ნაშრომებია წარმოდგენილი. ასევე, არის არქიტექტურული ძეგლების ჩამონათვალი, ფოტოები, აღწერილობა, მათზე არსებული ეპიგრაფიკა და ინფორმაცია მათი ადგილ-მდებარეობის შესახებ (Gümüş, Kançal 2019).[6] თურქეთში ქართველი ხალხის ისტორიის შესწავლას ხელი შეუწყო სტოკჰოლმში მცხოვრები თურქეთელი ქართველის **სანდრო იბერიელის** 2014 წელს გამოცემულმა ნაშრომმა – „ქართველი ხალხის ისტორია". ავტორს განხილული აქვს საქართველოს ისტორიის საკითხები უძველესი დროიდან 2008 წლის ჩათვლით და სხვ. (İberieli 2014). საინტერესოა **თანერ გოქდემირის** წიგნი „წითელი აჭარისტანი, წელიწდეული (ისტორია, იდენტობა და იდეოლოგია სამხრეთ კავკასიაში". მასში ავტორს განხილული აქვს 1922 წელს სედათ რეშადის მიერ ბათუმში გამოცემული „წითელი აჭარისტანის წელიწდეული". მისივე თქმით, აღნიშნული „წელიწდეული" ისტორიულ დოკუმენტთა, მომხდარი ამბებისა და სოციალისტური აჭარის ავტონომიის დაფუძნების მანიფესტსაც წარმოადგენს. მანიფესტში დაცულია მნიშვნელოვანი ინფორმაცია „აჭარის ღარიბთა და მშრომელთა ყრილობაზე" განხილული და გადაწყვეტილი საკითხებისა და შემდგომში გახსნილი „წითელი საბჭოს" საქმიანობის შესახებ (Gökdemir 2019). საყურადღებოა **მურათ ყასაბის** ნაშრომი „ოსმალეთის ქართველები", რომელიც საარქივო მასალებზე დაყრდნობით გამოიცა. წიგნში განხილულია

[6] იხ. როინ ყავრელიშვილი, რეცენზია მონოგრაფიაზე: ახალციხის მხარის თურქულ-მუსლიმური არქიტექტურული ძეგლები, საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალი „გულანი", სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, №25, ახალციხე, 2022, გვ. 181-193.

ქართველთა ისტორიის, საქართველოში ისლამის გავრცელების, ოსმალურ წყაროებში საქართველოსა და ქართველების შესახებ ინფორმაცია. ნაშრომში აღწერილია ოსმალეთის იმპერიის მასშტაბით ქართველების მიერ აგებული სახელმწიფო დაწესებულებების შენობები, მათ შორის ბიბლიოთეკები, ხიდები, მედრესეები, მეჩეთები, სკოლები, შადრევნები და საავადმყოფოები. ასევე, ქართველი დიდი ვეზირების, მხარის მმართველების, შეიხ ალ-ისლამების და ოსმალეთის არმიის ქართველი მეთაურების, სხვა ქართველი სამხედრო მეთაურებისა და ჯარისკაცების ცხოვრება, რომლებიც მონაწილეობდნენ 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში (Kasap 2012). 2020 წელს დაიბეჭდა **ფევზი ჩელების** წიგნი „ქართველთა ისტორიის ძირითადი საკითხები მე-18 საუკუნიდან დღემდე". ნაშრომი მოიცავს ქართული სამეფო-სამთავროების როგორც ერთმანეთთან, ასევე ოსმალეთთან, ირანსა და რუსეთთან ურთიერთობის, რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, მისი გასაბჭოების, მეორე მსოფლიო ომის, სსრკ-ის დაშლის შემდგომი პერიოდის საქართველოს ისტორიის შესახებ ინფორმაციას (Çelebi 2020). 2025 წლის თებერვალში გამოვიდა ამავე ავტორის კიდევ ერთი წიგნი „ქართველთა ისტორიის ძირითადი საკითხები მე-4 საუკუნიდან მე-18 საუკუნემდე". იგი ორი თავისგან შედგება: 1. ქართული სახელმწიფოები შუა საუკუნეებში; 2. ახალ პერიოდში ქართული სახელმწიფოები. პირველიც და მეორე თავიც შეიცავს სამ-სამ ქვეთავს პარაგრაფებითურთ. მასში, ასევე, შეტანილია ინფორმაცია მე-17 საუკუნის ქართული კულტურის შესახებ (**Çelebi** 2025). **ერდოღან შენოლის** მიერ თურქულენოვანი მკითხველისთვის როგორც საინფორმაციო, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით შეთავაზებულია „ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი", რომელიც გამოიცა 2021 წელს. იგი წარმოადგენს მოცულობით წიგნს და მასში მოცემულია ინფორმაცია ქართველი ერის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის, ენათმეცნიერების, ლიტერატურის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, ისტორიის, ხელოვნებისა და ანთროპოლოგიის შესახებ (Şenol 2021).

ქართველი ავტორების წიგნების თურქეთში თურქულ ენაზე გამოცემის საკითხთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ 2000 წელს გამოვიდა **ჰაირი ჰაირიოღლუს** მიერ ნათარგმნი ნ. ბერძენიშვილის, ს. ჯანაშიას და [ივანე ჯავახიშვილის] წიგნი „საქართველოს ისტორია", რომელიც მოიცავს პერიოდს დასაბამიდან მე-19 საუკუნემდე (Berdzenişvili... 2000). 2003 წელს თურქეთის საისტორიო საზოგადოების მიერ გამოქვეყნდა მ. ბროსეს მიერ 1849 წელს გამოცემული ქართლის ცხოვრების ნაწილი 1212 წლამდე. იგი თურქი სპეციალისტებისთვის საქართველოს ისტორიის გასაცნობად ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ იქცა. წიგნი თარგმნეს და გამოსაცემად მოამზადეს **ჰრანდ ანდრეასიანმა** და **ერდოღან მერჩილმა** (Brosset 2003). 2013 წელს გამოიცა **გიული ალასანიას** ავტორობით შესრულებული წიგნის – „ქართველები და ისლამამდელი თურქები" თურქული თარგმანი. წიგნში საუბარია ძვ. წ. IV საუკუნიდან ქართველების ურთიერთობაზე ჰუნებთან, ხაზარებსა და ყივჩაღებთან. განხილულია ბუნთურქების თემაც (Alasania 2013). ამავე წელს გამოქვეყნდა **როინ ყავრელიშვილის** მიერ მომზადებული წიგნი „საქართველოს წარმომადგენლობა თურქეთში 1920-1921 წლებში". იგი შეიცავს წარმომადგენლობის წევრის – დიმიტრი შალიკაშვილის ქართულენოვანი დღიურების თურქულ თარგმანს. დღიურებში დაცულია

ინფორმაცია ანკარაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის ანკარის მთავრობის წევრებთან დიპლომატიური ხასიათის შეხვედრების, მათ შორის მუსტაფა ქემალ ფაშასთან, თბილისიდან ანკარამდე მგზავრობის ეპიზოდების, მისიის ხელმძღვანელის – სიმონ მდივნის მუსტაფა ქემალ ფაშასთან შეხვედრის ვრცელი ეპიზოდი და საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების პროცესი, ქართული მისიისა და მისი ხელმძღვანელის მიდგომები საქართველოში გასაბჭოების დროს ანკარის მთავრობის პოზიციასთან დაკავშირებით (Kavrelişvili 2013). 2022 წელს გამოიცა ამავე ავტორის წიგნი – „თურქეთი ქართულ პრესაში 1886-1939 წლებში". იგი შეიცავს ინფორმაციას ქართულ-თურქული ურთიერთობებისა და იმდროინდელი ქართული საზოგადოების მხრიდან თურქეთში მიმდინარე მოვლენების აღქმა-გაანალიზების შესახებ (Kavrelişvili 2022). 2016 წელს აფხაზეთის პოლიტიკურიისტორიისადააფხაზეთისტერიტორიაზედაცულიქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების შესახებ გამოიცა **ჯემალ გამახარიასა** და **ლია ახალაძის** ერთობლივი წიგნი „აფხაზეთი / საქართველო: ისტორია, პოლიტიკა, კულტურა". მასში გამოკვლეულია საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის, აფხაზეთის ეთნოპოლიტიკური ისტორია, წარმოდგენილია ზოგადი პერსპექტივები ამ რეგიონში არსებული უძველესი ქრისტიანული კულტურის ფუნდამენტურ პრინციპებზე დაყრდნობით. ეთნიკური, პოლიტიკური და კულტურული პერსპექტივიდან გამომდინარე, ჩანს, რომ დღევანდელი აფხაზეთის მიწები უძველესი დროიდან საქართველოს ტერიტორიაა და რომ რეგიონში დემოგრაფიული ცვლილებები მხოლოდ გვიან შუა საუკუნეებში მოხდა. აქვე ავტორები განიხილავენ რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ 1992-1993 წლებში წარმოებულ ჰიბრიდულ ომებს და 2008 წელს განხორციელებულ ღია აგრესიას. წიგნში აღწერილია ომის შემდგომი ჰუმანიტარული კატასტროფის შედეგები, განმარტებულია აფხაზეთისოკუპაციისსაკითხიდაევროატლანტიკურისივრცისწინააღმდეგ განხორციელებული გეოპოლიტიკური სვლები, ხაზგასმულია აფხაზეთში მიმდინარე კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების აუცილებლობა საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით (Gamakharia... 2016). აფხაზეთის თემასთან დაკავშირებით 2019 წელს სტამბოლში გამოიცა **ზაზა წურწუმიას** წიგნი „აფხაზეთი ოსმალეთ-რუსეთის ურთიერთობებში XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში". მასში განხილულია XV საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს გაერთიანებული სამეფოს დაშლისა და ოსმალეთის იმპერიის გაძლიერების, XX საუკუნის პირველ მეოთხედში ოსმალეთისა და რუსეთი იმპერიების დაშლის შემდეგ დაარსებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და მასში შემავალი ავტონომიური აფხაზეთის, მე-19 საუკუნეში რუსეთსა და ოსმალეთის იმპერიას შორის აფხაზეთისთვის მიმდინარე ბრძოლის საკითხები (Tsurstumia 2029).

რაც შეეხება ქართველი და თურქი ისტორიკოსების თანამშრომლობის შედეგად გამოცემულ სამეცნიერო შრომების კრებულებს, ქართულ-თურქული ისტორიული ურთიერთობების თემაზე ქართველი და თურქი ისტორიკოსების მონაწილეობით ჩატარდა ექვსი სიმპოზიუმი, გამოიცა ყველა სიმპოზიუმის ქართულ-თურქულენოვანი კრებულები. პირველი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ ახალციხის ფილიალისა და ყარსის

კავკასიის უნივერსიტეტის ერთობლივი სიმპოზიუმი 2001 წელს ქ. ყარსში ჩატარდა, გამოიცა შრომების კრებული – „ისტორიკოსთა საერთაშორისო სიმპოზიუმი / Uluslararası Tarih Sempozyumu“ (Kars – Akhaltsikhe 2001). შემდეგი, თურქეთის საისტორიო საზოგადოებისა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი სამუშაო სემინარი, 2016 წელს ახალციხეში გაიმართა. გამოიცა შრომების კრებული – „თურქულ–ქართული ურთიერთობები: ისტორია და თანამედროვეობა /Türk-Gürcü İlişkileri: Tarih ve Çağdaşlık“ (ყავრელიშვილი... 2017). შრომების კრებული მომზადდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში და 2017 წელს ტრაპიზონში დაიბეჭდა. მესამე ჩატარდა ტრაპიზონის შავი ზღვის ტექნიკურ უნივერსიტეტში 2018 წელს სახელწოდებით „Türk-Gürcü İlişkilerininkaynakları / წყაროები ქართულ–თურქული ურთიერთობების შესახებ“. შრომების კრებული გამოიცა 2018 წელს ტრაპიზონში (Tellioğlu, Kavrelişvili Trabzon 2018). მეოთხე, 2019 წელს გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში – „შუა საუკუნეებში ქართულ-თურქული ურთიერთობები / Orta Çağda Türk – Gürcü İlişkileri“. შრომების კრებული გამოიცა 2019 წელს გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ (ყავრელიშვილი... 2019). მეხუთე, 2020 წელს ანკარაში, თურქეთის საისტორიო საზოგადოების შენობაში – „ახალ და უახლეს პერიოდში ქართულ-თურქული ურთიერთობები / Yeni ve Yakın Çağda Türk-Gürcü İlişkileri“, კრებული გამოიცა ტრაპიზონში 2020 წელს (Tellioğlu, Kavrelişvili 2020). მეექვსე, 2021 წელს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში – „ქართულ-თურქული ურთიერთობები XX საუკუნეში / XX. Yüzyilda Türk-Gürcü İlişkileri“, კრებული გამოიცა 2024 წელს სოხუმის სახლმწიფო უნივერსიტეტის მიერ (ყავრელიშვილი... 2024). სამეცნიერო შრომების კრებული „Gürcistan[7]“ 2024 წელს თურქეთში, ათათურქის კვლევითი ცენტრის მხარდაჭერით გამოიცა. კრებული წარმოადგენს კონცეპტუალურად შეკრულ ინტერდისციპლინარულ ნაშრომს, რომელშიც საგანგებოდ არის წინა პლანზე წამოწეული საქართველოს ერთიანობის იდეა კულტურულ-ისტორიულ კონტექსტში. დღემდე თურქ მკითხველს საქართველოს ისტორიისა და წარსულის შესახებ არაერთგვაროვანი წარმოდგენა აქვს, რადგან საქართველოს შესახებ კომპლექსური ხასიათის ერთ წიგნად შეკრული სამეცნიერო ხასიათის ინფორმაცია აქამდე არ არსებობდა. კრებული სისტემურად მიაწვდის მკითხველს სამეცნიერო დონეზე შეჯერებულ ინფორმაციას საქართველოს ფიზიკური აღწერილობის, ქართული ენის განვითარების ისტორიის, ქართული დამწერლობის საფეხურების, თეორიებისა და დამწერლობის უძველესი ძეგლების შესახებ. წიგნში საქართველოს ისტორია გადმოცემულია ეტაპობრივად, უძველესი დროიდან დღემდე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ადრეფეოდალურ ხანას, საქართველოს გაერთიანების პროცესს X-XI სს. მიჯნაზე, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ეპოქას, საქართველოს ფეოდალური დაშლილობის ხანაში ქართული სამეფო-სამთავროების წინაშე წარმოქმნილ პრობლემებს, რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ოკუპაციის პერიოდს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიას და საბჭოთა პერიოდის ოკუპაციას. ასევე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თანამედროვე საქართველოს ყველაზე მტკივნეულ პრობლემებს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის

[7] საქართველო

(ე.წ. სამხრეთ ოსეთის) მოკლე ისტორიას, კონფლიქტების გენეზისსა და მისი განვითარების დინამიკას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილ კრებულში თურქულენოვან მკითხველს თურქულ ენაზე საქართველოს შესახებ კონკრეტულ საკითხებზე ორიენტირებული, ზოგიერთ სტატიაში არსებული გარკვეული უზუსტობების მიუხედავად, ამ სახის მრავალფეროვანი სამეცნიერო ინფორმაციის მოძიება არ გაუჭირდება. კრებულს ჰყავს ქართველი და თურქი ავტორები, რომლებიც თავისი კვლევითი თემატიკის მიხედვით, ეპოქებისა და ისტორიული კონტექსტის ჟანრობრივი თავისებურებების გათვალისწინებით წარმოგვიდგენენ ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვან კულტურასა და ისტორიას უძველესი დროიდან დღემდე (Tellioğlu, Kavrelishvili 2020). 2025 წელს თურქულ ენაზე გამოიცა **კახა შენგელიას** წიგნი „საქართველო, ისტორია ორ იმპერიას შორის“, სადაც განხილულია საქართველოს სიტორიის საკითხები უძველესი დროიდან თანამედროვეობის ჩათვლით (Şengelia 2025).

უნდა ითქვას, რომ თანამედროვე თურქ მეცნიერთა კვლევებში კვლავ არის აქტუალური 1944 წელს სამცხე-ჯავახეთიდან დეპორტირებული მოსახლეობის თემა. **კიას ასლანის** მიერ გაკეთებულია როგორც თურქულენოვანი, ასევე, რუსულენოვანი ბიბლიოგრაფია. ავტორისვე თქმით, ბიბლიოგრაფია წარმოადგენს ამ კონკრეტულ თემაზე გამოქვეყნებული წიგნებისა და სამეცნიერო სტატიების ჩამონათვალს, რაც მკვლევართათვის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს. ბიბლიოგრაფია საკმაოდ შთამბეჭდავია, თუმცა, ავტორისვე თქმით, ჩამონათვალი არ არის სრულყოფილი (Aslan 1995).

თურქეთში, 2000-იანი წლებიდან საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებით გამოიკვეთა სამეცნიერო მოხსენებებისა და სტატიების რაოდენობის საგრძნობად მომატების ტენდენცია. მათში ჭარბობს ინფორმაცია ქართველების თურქული წარმოშობის ხალხებთან, აღმოსავლეთ ანატოლიის თურქულ სამთავროებთან, თემურ ლენგთან ურთიერთობის შესახებ. თუმცა, მათი რაოდენობიდან გამომდინარე, ეს თემა, ობიექტურად, წარმოდგენილი სტატიის განხილვის საგნად ვერ იქცა.

დასკვნა

თურქეთის რესპუბლიკაში ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუა წლებში დაიწყო და შემდეგში უკვე ინტენსიურად განვითარდა სამეცნიერო კვლევები საქართველოს ისტორიის მიმართულებით, რაც თურქეთში ქართველთა და საქართველოს ისტორიის პოპულარიზაციის კარგ საშუალებას წარმოადგენს.

ნაშრომებში გამოთქმულ მოსაზრებებში ჩანს როგორც ავტორთა მეცნიერული ცოდნა, ასევე ასახულია იმ სამეცნიერო წრეების ზოგადი ტენდენციები, რომლებსაც ისინი მიეკუთვნებიან.

მართალია, არსებობს საკითხები, რომელთა მიმართებითაც განსხვავდება ქართული და თურქული ისტორიოგრაფიის მიდგომები, მაგრამ ერთობლივ სამეცნიერო ღონისძიებებზე გამართული სამეცნიერო კამათის ფონზე წარმოდგენილი მოხსენებების ერთობლივი სამეცნიერო შრომების სახით გამოქვეყნება, გარკვეულწილად, ზოგიერთი საკამათო საკითხის ხელახალი გადააზრებისა და შეჯერების შესაძლებლობას ზრდის.

მეცნიერთა მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო პროდუქცია საშუალებას მისცემს ყველა დაინტერესებულ პირს, ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილ წყაროებს გაეცნოს და მათ უფრო განსხვავებული პოზიციიდან შეხედოს.

ისტორია გამოცდილებით მიღებული სიმდიდრეა. ამდენად, ქართულ–თურქული ურთიერთობების ისტორიული საფუძვლის აღქმას ორივე მხარისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მისი სწორი მიმართულებით განვითარების შემთხვევაში, ისტორიოგრაფიას შუძლია ახალი პერსპექტივები შემოგვთავაზოს.

გამოყენებული ლიტერატურა

წიგნები / მონოგრაფიები

ურუშაძე 1994: ურუშაძე ლ., საქართველოს ისტორიის საკითხები XX საუკუნის თურქულ ისტორიოგრაფიაში. გამომც. „მეცნიერება“. თბილისი, 1994.

Alasania 2013: Alasania G., Gürcüler ve İslam Öncesi Türkler. KTU Karadeniz Araştırmalar Enstitüsü yayınları, Atalay Matbaası. Trabzon, 2013.

Berdzenişvili... 2000: Berdzenişvili N., Canaşia S., Cavakhişvili İ., Gürcüstan Tarihi (Çev Hayri Hayrioğlu). Sorun yayınları, İstanbul, 2000.

Bilgili 2011: Bilgili A.S., İran, Azerbaycan Ermenıistan ve Gürcistan'da Osmanlı Vakıfları (XVI-XVIII. Yüzyıllar), T.C. Vakıflar Genel Müdürlüğü. Ankara 2011.

Brosset 2003: Brosset M. F., 1802-1880, çeviren. Andreasyan, Hrand D., 1892-1978, çeviren. Merçil, Erdoğan, 1938- yayına hazırlayan, TTK Yayınları. Ankara, 2003.

Çiloğlu 1993: Çiloğlu F., Gürcülerin tarihi. İstanbul, 1993.

Çoğ 2009: Çoğ M., XI-XIII. Yüzyıllarda Türk-Gürcü İlişkileri. Trabzon, 2009.

Dayı 1997: Dayı S. E., Elviye-i Selâse'de (Kars, Ardahan ve Batum): milli teşkilâtlanma, Kültür ve Eğitim Vakfı. Erzurum, 1997.

Çelebi 2020: Çelebi F., 18. Yüzyıldan Günümüze Gürcü Tarihinin Ana Hatları, Duvar Yayınları. Ankara, 2020.

Çelebi 2025: Çelebi F., 4. Yüzyıldan 18. Yüzyıla Gürcü Tarihinin Ana Hatları, Duvar Yayınları. Ankara, 2025.

Gamakharia... 2016: Gamakharia C., Akhaladze L., Abhazya/Gürcistan: Tarih-Siyaset-Kültür. İstanbu,l 2016.

Gökdemir 2019: Gökdemir T., Kızıl Acaristan Salnamesi (1922), Güneybatı Kafkasya'da Tarih, Kimlik ve İdeoloji, Libra Kitapçılık ve Yayıncılık. İstanbul, 2019.

Gümüş 2000: Gümüş N., XVI. Asır Osmanlı- Gürcistan İlişkileri (Doktora Tezi), Marmara Üniversitesi. İstanbul, 2000.

Gümüş 2007: Gümüş N., İlk Dönem İslam-Gürcü İliişkileri, Karadeniz yayınları. Rize, 2007.

Gümüş,... 2019: Gümüş N., Kançal Ferarri N., Ahıska Bölgesindeki Türk İslam Mimari Yadigarları. Ankara, 2019.

İberieli 2024: İberieli S., Gürcü Halkının Tarihi, Cinius Yayınlar. İstanbul, 2024.

İpek 2020: İpek A., İlk İslam Döneminde Gürcistan, Zafer Ofset Yayınları, Erzurum, 2020.

Kavrelişvili 2013: Kavrelişvili R., Dimitri Şalikaşvili'nin Türkiye Günlüğü (Türkiye'de Gürcistan Temsilciliği 27 Aralık 1920 – 20 Mart 1921), Çeviren ve Yayına Hazırlayan Prof. Dr. Roin Kavrelişvili, Karadeniz Teknik Üniversitesi – Karadeniz Araştırmaları Enstitüsü Yayınları. Trabzon, 2013,

Kavrelişvili 2022: Kavrelişvili R., Gürcü Basınında Türkiye (1866-1939), Bilge Kültür Sanat Yayın Dağıtım San. ve Tic. Ltd. Şti, İstanbul, 2022.
Kasap 2012: Kasap M., Osmanlı Gürcüleri, Ankara, 2012.
Kırzıoğlu 1953: Kırzıoğlu M. F., Kars tarihi, Işıl Matbaası, İstanbu,l 1953.
Kırzıoğlu 1960: Kırzıoğlu M. F., Milli Mücadelede Kars, I. Kitap (Belgeler), Hamle Matbaası. İstanbul, 1960.
Kırzıoğlu 1976: Kırzıoğlu M. F., Osmanlıların Kafkas Ellerini Fethi (1451-1590).,Ankara, 1976.
Kırzıoğlu1992: Kırzıoğlu M. F., Yukarı Kür ve Çoruk Boyları'nda Kıpçaklar. Ankara, 1992.
Lang 1997: Lang D. M., Gürcüler (nşr. N. Domaniç), İstanbul, 1997.
Özkan (Melaşvili) 1968: Özkan (Melaşvili) A., Gürcistan. İstanbul, 1968.
Sarı 2014: Sarı M., Türkiye – Kafkasya İlişkilerinde Batum (1917-1921), Türk Tarih Kurumu yayınları. Ankara, 2014.
Subaşı 2015: Subaşı Ö., Gürcü – Moğol İlişkisi Güney Kafkasya 1220-1346. İstanbul, 2015.
Sürmeli 2001: Sürmeli S., Türk-Gürcü ilişkileri, Atatürk Araştırma Maerkezi. Ankara, 2001.
Şahin 2002: Şahin E., Trabzon ve Batum Konferansları ve Antlaşmaları (1917-1918), Türk tarih Kurumu Basımevi. Ankara, 2002.
Şengelia 2025: Şengelia K., Gürcüstan, İmparatorluklar Arasında Bir tarih. Türkçesi: Harun Çimke, VakıfBank Kültür Yayınları. İstanbul, 2025.
Şenol 2021: Şenol E., Gürcü Ansiklopedik Sözlüğü, Emsal Matbaa. Ankara, 2021.
Şimşek 2019, Şimşek D., Ankara'da Aılan İlk Gürcistan Temsilciliği ve Türk-DGürcü İlişkileri, Sancak yayıncılık Matbaacılık Reklam San. Tic Ltd. Şti, Ankara, 2019.
Tellioğlu 2009: Tellioğlu İ., XI-XIII. Yüzyıllarda Türk-Gürcü İlişkileri, Serander Yayınları. İstanbul, 2009.
Tsurtsumia 2018: Tsurtsumia Z., Osmanlı-Rusya İlişkilerinde Abhazya, Yeditepe Yayınevi. İstanbul, 2018.
Turan 2023: Turan R., Çarlık İdaresinde Batum, Acaraü Artvin 1878-1914, Tuürk tarih Kurumu yayınlar. Ankara, 2023.
Yıdıztaş 2012: Yıldıztaş M., Osmanlı Arşiv Kayıtlarında Gürcistan ve Gürcüler. İstanbul, 2012.
Zeyrek 1995: Zeyrek Y., Dünden Bugüne Ahıska Türklüğü, Türk Federasyon. Frankfurt, 1995.
Zeyrek 1999: Zeyrek Y., Gürcistan Acaristan ve Türkiye, Türk Ocağı. Trabzon, 1999.
Zeyrek 2001: Zeyrek Y., Ahıska Bölgesi ve Ahıska Türkleri.,Ankara, 2001.
Zeyrek 2001: Zeyrek Y., Acaristan ve Acarlar. Ankara, 2001.
Zeyrek 2006: Zeyrek Y., Ahıska Araştırmaları. Ankara, 2006.
Zeyrek 2015: Zeyrek Y., Ahıska Gül İdi Gitti. Ankara, 2015.

სამეცნიერო შრომების კრებულები

Kars 2001: T.C. Kafkas Üniversitesi, İ. Cavakhishvili Adına Tiflis Devlet Üniversitesi Ahıska Şubesi, Kars – Akhaltsikhe (Ahıska), Uluslararası Tarih Sempozyumu Bildirileri. Kars, 2001.
ყავრელიშვილი... 2017: ყავრელიშვილი რ., თელლიოღლუ ი. (რედაქტორები), თურქულ-ქართული ურთიერთობები: ისტორია და

თანამედროვეობა. Uluslararası Bilimsel Çalıştay Türk-Gürcü İlişkileri: Tarih ve Çağdaşlık, Gündüz Ofset. Trabzon, 2017.

Tellioğlu... 2018: Tellioğlu İ., Kavrelişvili R. **(Editör),** Uluslararasi Türk-Gürcü İlişkileri Sempozyumu / საერთაშორისო სიმპოზიუმი ქართულ-თურქული ურთიერთობები (Türk-Gürcü İlişkilerininkaynaklari / წყაროები ქართულ-თურქული ურთიერთობების შესახებ), KTU Matbaası. Trabzon, 2018.

ყავრელიშვილი...2019: ყავრელიშვილი რ., თელლიოღლუ ი. (რედაქტორები), შუა საუკუნეებში ქართულ-თურქული ურთიერთობები / Orta Çağda Türk-Gürcü İlişkileri, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის გამომცემლობა. გორი, 2019.

Tellioğlu... 2020: Tellioğlu İ., Kavrelişvili R. **(Editör),** Yeni ve Yakın Çağda Türk-Gürcü İlişkileri / ახალ და უახლეს პერიოდში ქართულ-თურქული ურთიერთობები, Serander Yayınları. Trabzon, 2020.

ყავრელიშვილი... 2024: ყავრელიშვილი რ., თელლიოღლუ ი., ახალაძე ლ. (რედაქტორები), ქართულ-თურქული ურთიერთობები XX საუკუნეში / XX. Yüzyilda Türk-Gürcü İlişkileri, გამომცემლობა „ფავორიტი“. თბილისი, 2024.

Tellioğlu... 2024: Tellioğlu İ., Kavrelishvili R. **(Editör)**, Gürcistan, Atatürk Araştırma Merkezi yayınları. Ankara, 2024.

სტატიები

ყავრელიშვილი 2007: ყავრელიშვილი რ., სერფილ სურმელის მონოგრაფია – თურქეთ–საქართველოს ურთიერთობები 1918-1921 წწ., აკადემიკოს ევგენი ხარაძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები. ახალციხის ინსტიტუტის გამომცემლობა. ახალციხე, 2007.

ყავრელიშვილი 2009: ყავრელიშვილი რ., ესინ (დერინსუ) დაის ნაშრომი „ეროვნული ორგანიზაციები ელვიე – ი სელასეში (ყარსი, არდაგანი, ბათუმი). გულანი, 1, ახალციხის ინსტიტუტი. გამომცემლობა „ნეკერი“. ახალციხე, 2009.

ყავრელიშვილი 2010: ყავრელიშვილი რ., თურქი ისტორიკოსის ენის შაჰინის მონოგრაფია „ტრაპიზონისა და ბათუმის კონფერენციები და ხელშეკრულებები (1917-1918)“, ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, სამეცნიერო კონფერენციის პროგრამა და მასალები, ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ახალციხე, 2010.

ყავრელიშვილი 2022: ყავრელიშვილი რ., რეცენზია დერია ჩინი შიმშექის წიგნზე: „საქართველოს წარმომადგენლობა ანკარაში და თურქულ-ქართული ურთიერთობები“. პროფესორ იოსებ ალიმბარაშვილის დაბადებიდან 60 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კრებული. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. გორი, 2022.

ყავრელიშვილი 2022: ყავრელიშვილი რ., რეცენზია მონოგრაფიაზე: ახალციხის მხარის თურქულ-მუსლიმური არქიტექტურული ძეგლები, საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალი „გულანი“, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, №25. ახალციხე, 2022.

ყავრელიშვილი 2023: ყავრელიშვილი რ., სამცხე-საათაბაგო (ახალციხის საფაშო) თანამედროვე თურქულ საისტორიო ლიტერატურაში, წიგნში: მერაბ ბერიძე, ინგა ღუტიძე, როინ ყავრელიშვილი, ხათუნა გაფრინდაშვილი,

მაია ბალასანიანი, მაკა ბერიძე, კუკური მეტრეველი, ნინო ხაზალაშვილი, ჯავახეთის ონომასტიკური მასალის კვლევა და დოკუმენტირება (ნინოწმინდის რაიონი). გამომცემლობა „ნათლისმცემელი“. თბილისი, 2023.
შენგელია 2001: შენგელია ნ., ფაჰრედდინ კირზიოღლუს მონოგრაფიები, ქართული დიპლომატია (წელიწდეული), 8, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2001.
Aslan:1995: Aslan K., Ahıska Türkleri Bibliyografyası, Ahıska Türkleri Kültür ve Dayanışma Derneği Yayını-1. Ankara, 1995.
Tellioğlu 2017: Tellioğlu İ., Türkiye'de Gürcü Tarihi ve Kültürü İle İlgili Araştırmalar, შრომების კრებული: ქართულ-თურქული ურთიერთობები – ისტორია და თანამედროვეობა, Gündüz Ofset. Trabzon, 2017.

References

Books/Monographs

Alasania 2013: Alasania G., Gürcüler ve İslam Öncesi Türkler. KTU Karadeniz Araştırmalar Enstitüsü yayınları, Atalay Matbaası. Trabzon, 2013.
Berdzenişvili... 2000: Berdzenişvili N., Canaşia S., Cavakhişvili İ., Gürcüstan Tarihi (Çev Hayri Hayrioğlu). Sorun yayınları, İstanbul, 2000.
Bilgili 2011: Bilgili A.S., İran, Azerbaycan Ermenıistan ve Gürcistan'da Osmanlı Vakıfları (XVI-XVIII. Yüzyıllar), T.C. Vakıflar Genel Müdürlüğü. Ankara 2011.
Brosset 2003: Brosset M. F., 1802-1880, çeviren. Andreasyan, Hrand D., 1892-1978, çeviren. Merçil, Erdoğan, 1938- yayına hazırlayan, TTK Yayınları. Ankara, 2003.
Çelebi 2020: Çelebi F., 18. Yüzyıldan Günümüze Gürcü Tarihinin Ana Hatları, Duvar Yayınları. Ankara, 2020.
Çelebi 2025: Çelebi F., 4. Yüzyıldan 18. Yüzyıla Gürcü Tarihinin Ana Hatları, Duvar Yayınları. Ankara, 2025. Çiloğlu 1993: Çiloğlu F., Gürcülerin tarihi. İstanbul, 1993.
Çoğ 2009: Çoğ M., XI-XIII. Yüzyıllarda Türk-Gürcü İlişkileri. Trabzon, 2009.
Dayı 1997: Dayı S. E., Elviye-i Selâse'de (Kars, Ardahan ve Batum): milli teşkilâtlanma, Kültür ve Eğitim Vakfı. Erzurum, 1997.
Gamakharia... 2016: Gamakharia C., Akhaladze L., Abhazya/Gürcistan: Tarih-Siyaset-Kültür. İstanbu,l 2016.
Gökdemir 2019: Gökdemir T., Kızıl Acaristan Salnamesi (1922), Güneybatı Kafkasya'da Tarih, Kimlik ve İdeoloji, Libra Kitapçılık ve Yayıncılık. İstanbul, 2019.
Gümüş 2000: Gümüş N., XVI. Asır Osmanlı- Gürcistan İlişkileri (Doktora Tezi), Marmara Üniversitesi. İstanbul, 2000.
Gümüş 2007: Gümüş N., İlk Dönem İslam-Gürcü İliişkileri, Karadeniz yayınları. Rize, 2007.
Gümüş,... 2019: Gümüş N., Kançal Ferarri N., Ahıska Bölgesindeki Türk İslam Mimari Yadigarları. Ankara, 2019.
İberieli 2024: İberieli S., Gürcü Halkının Tarihi, Cinius Yayınlar. İstanbul, 2024.
İpek 2020: İpek A., İlk İslam Döneminde Gürcistan, Zafer Ofset Yayınları, Erzurum, 2020.
Kavrelişvili 2013: Kavrelişvili R., Dimitri Şalikaşvili'nin Türkiye Günlüğü (Türkiye'de Gürcistan Temsilciliği 27 Aralık 1920 – 20 Mart 1921), Çeviren ve Yayına Hazırlayan

Prof. Dr. Roin Kavrelişvili, Karadeniz Teknik Üniversitesi – Karadeniz Araştırmaları Enstitüsü Yayınları. Trabzon, 2013,
Kasap 2012: Kasap M., Osmanlı Gürcüleri, Ankara, 2012.
Kavrelişvili 2022: Kavrelişvili R., Gürcü Basınında Türkiye (1866-1939), Bilge Kültür Sanat Yayın Dağıtım San. ve Tic. Ltd. Şti, İstanbul, 2022.
Kırzıoğlu 1953: Kırzıoğlu M. F., Kars tarihi, Işıl Matbaası, İstanbu,l 1953.
Kırzıoğlu 1960: Kırzıoğlu M. F., Milli Mücadelede Kars, I. Kitap (Belgeler), Hamle Matbaası. İstanbul, 1960.
Kırzıoğlu 1976: Kırzıoğlu M. F., Osmanlıların Kafkas Ellerini Fethi (1451-1590).,Ankara, 1976.
Kırzıoğlu 1992: Kırzıoğlu M. F., Yukarı Kür ve Çoruk Boyları'nda Kıpçaklar. Ankara, 1992.
Lang 1997: Lang D. M., Gürcüler (nşr. N. Domaniç), İstanbul, 1997.
Özkan (Melaşvili) 1968: Özkan (Melaşvili) A., Gürcistan. İstanbul, 1968.
Sarı 2014: Sarı M., Türkiye – Kafkasya İlişkilerinde Batum (1917-1921), Türk Tarih Kurumu yayınları. Ankara, 2014.
Subaşı 2015: Subaşı Ö., Gürcü – Moğol İlişkisi Güney Kafkasya 1220-1346. İstanbul, 2015.
Sürmeli 2001: Sürmeli S., Türk-Gürcü ilişkileri, Atatürk Araştırma Maerkezi. Ankara, 2001.
Şahin 2002: Şahin E., Trabzon ve Batum Konferansları ve Antlaşmaları (1917-1918), Türk tarih Kurumu Basımevi. Ankara, 2002.
Şengelia 2025: Şengelia K., Gürcüstan, İmparatorluklar Arasında Bir tarih. Türkçesi: Harun Çimke, VakıfBank Kültür Yayınları. İstanbul, 2025.
Şenol 2021: Şenol E., Gürcü Ansiklopedik Sözlüğü, Emsal Matbaa. Ankara, 2021.
Şimşek 2019, Şimşek D., Ankara'da Aılan İlk Gürcistan Temsilciliği ve Türk-Gürcü İlişkileri, Sancak yayıncılık Matbaacılık Reklam San. Tic Ltd. Şti, Ankara, 2019.
Tellioğlu 2009: Tellioğlu İ., XI-XIII. Yüzyıllarda Türk-Gürcü İlişkileri, Serander Yayınları. İstanbul, 2009.
Tsurtsumia 2018: Tsurtsumia Z., Osmanlı-Rusya İlişkilerinde Abhazya, Yeditepe Yayınevi. İstanbul, 2018.
Turan 2023: Turan R., Çarlık İdaresinde Batum, Acaraü Artvin 1878-1914, Tuürk tarih Kurumu yayınlar. Ankara, 2023.
Yıdıztaş 2012: Yıldıztaş M., Osmanlı Arşiv Kayıtlarında Gürcistan ve Gürcüler. İstanbul, 2012.
Zeyrek 1995: Zeyrek Y., Dünden Bugüne Ahıska Türklüğü, Türk Federasyon. Frankfurt, 1995.
Zeyrek 1999: Zeyrek Y., Gürcistan Acaristan ve Türkiye, Türk Ocağı. Trabzon, 1999.
Zeyrek 2001: Zeyrek Y., Ahıska Bölgesi ve Ahıska Türkleri.,Ankara, 2001.
Zeyrek 2001: Zeyrek Y., Acaristan ve Acarlar. Ankara, 2001.
Zeyrek 2006: Zeyrek Y., Ahıska Araştırmaları. Ankara, 2006.
Zeyrek 2015: Zeyrek Y., Ahıska Gül İdi Gitti. Ankara, 2015.

Collections of scientific works

Kars - Akhaltsikhe 2001: Kars–Akhaltsikhe, Republic of Turkey Kafkas University, Akhaltsikhe branch of Tbilisi State University named after I. Javakhishvili, , Proceedings of the International History Symposium. Kars, 2001.
Kavrelishvili... 2017: Kavrelishvili R., Tellioglu I. **(Editors)**, Turkish-Georgian Relations: History and Modernity. International Scientific Workshop Turkish-Georgian Relations: History and Modernity, Gündüz Publications. Trabzon, 2017.

Tellioğlu... 2018: Tellioğlu İ., Kavrelishvili R. **(Editors)**, International Turkish-Georgian Relations Symposium (Turkish-Georgian Relations Resources), KTU Press. Trabzon, 2018.
Kavrelishvili... 2019: Kavrelishvili R., Tellioglu I. **(Editors)**, Georgian-Turkish Relations in the Middle Ages, Gori State University Publications. Gori, 2019.
Tellioğlu... 2020: Tellioğlu İ., Kavrelishvili R. **(Editors)**, Turkish-Georgian Relations in the New and Modern Ages, Serander Publications. Trabzon, 2020.
Kavrelishvili... 2024: Kavrelishvili R., Tellioglu I., Akhaladze L. **(Editors)**, Georgian-Turkish Relations in the XX Century, "Favorite" Publications. Tbilisi, 2024.
Tellioğlu... 2024: Tellioğlu İ., Kavrelishvili R. **(Editors)**, Georgia, Atatürk Research Center publications., Ankara, 2024.

Articles

Aslan 1995: Aslan K., Meskhetian Turks Bibliography, Meskhetian Turks Culture and Solidarity Association Publication-1. Ankara, 1995.
Kavrelishvili 2007: Kavrelishvili R., Serfil Surmeli's monograph – Turkish-Georgian relations 1918–1921, Materials of the scientific conference dedicated to the 100th anniversary of the birth of Academician Evgeni Kharadze, Akhaltsikhe Institute Publications. Akhaltsikhe, 2007.
Kavrelishvili 2009: Kavrelishvili R., Esin (Derinsu) Dai's work "National Organizations in Elvier-i Selase (Kars, Ardahan, Batumi), Gulani, 1, Akhaltsikhe Institute, "Nekeri" Publications, Akhaltsikhe, 2009.
Kavrelishvili 2010: Kavrelishvili R., Turkish historian Enis Shahin's monograph "The Conferences and Treaties of Trabzon and Batumi (1917 - 1918)", Akhaltsikhe State Teaching University, Scientific Conference Program and Materials, Akhaltsikhe State Teaching University Publications. Akhaltsikhe, 2010.
Kavrelishvili 2022: Kavrelishvili R., Review of Deria Chiny Simshek's book: "Georgian Representation in Ankara and Turkish-Georgian Relations", Scientific Collection Dedicated to the 60th Anniversary of the Birth of Professor Ioseb Alimbarashvili, Gori State Teaching University. Gori, 2022.
Kavrelishvili 2022: Kavrelishvili R., Review of the monograph: Turkish-Muslim architectural monuments of the Akhaltsikhe region, International refereed journal "Gulani", Samtskhe-Javakheti State University, №25. Akhaltsikhe, 2022.
Kavrelishvili 2023: Kavrelishvili R., Samtskhe-Saatabago (Akhaltsikhe Sapasho) in Modern Turkish Historical Literature, in the book - Merab Beridze, Inga Gutidze, Roin Kavrelishvili, Khatuna Gaprindashvili, Maia Balasaniani, Maka Beridze, Kukuri Metreveli, Nino Khazalashvili, Research and Documentation of Javakheti Onomastic Material (Ninotsminda District), "Natlismtsemeli" Publications. Tbilisi, 2023.
Shengelia 2001: Shengelia N., Fahreddin Kirzioglu's Monographs, Georgian Diplomacy (Annual), 8, Ivane Javakhishvili Tbilisi State University Publications. Tbilisi, 2001.
Tellioğlu 2017: Tellioğlu İ., Research on Georgian History and Culture in Turkey, Collection of Works: Georgian-Turkish Relations - History and Modernity, Gündüz Publications. Trabzon 2017.